№ 91

კვირა, 1 მაისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 91

კვირა, 1 მაისი 1894

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ

**დანიშნულია 8 მაისს.**

ვისაც სურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**

(ნიკოლოოზის ქუჩა, საგინოვის სახლი 21).

## მოსკოვის ურთიერთთ შორის ჭირნახულის სეტყვისაგან დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელისაგან

კავკასიაში ვენახების პატრონების სურვილისა თანახმად, რომელთაც მოინდომეს თავიანთ ვენახების დაზღვევა, **მოსკოვის დამზღვეველ საზოგადოებამ** გადასწყვიტა შეუდგეს დაზღვევას საუკეთესო მოსავლისას, (ვენახისა, სვიისა, თამბაქოს და ბამბის პლანტაციებისა და სხვ). და თავისი განყოფილებაც დააარსოს ტფილისში, თუ დასაზღვევი ფული აიწევს 500,000 მანეთამდე და თუ ამ ფულიდგან დაზღვევის დასაწყისად შემოტანილ იქმნება ხსენებულ ჯამის 3% საწევრო გადასახადისა (მე-40 § ი წესდებისა).

რადგანაც ძოახლოვებულია ჭირნახულის გამანადგურებელ სეტყვის დრო, ამიტომ მოვიწვევ ბ-ნთ ბაღ-ვენახების პატრონთ, რომელთაც თავიანთ მამულების დაზღვევის სურვილი უკვე აღიარეს და ჯერ არ შემოუტანიათ განცხადება, რომ დააჩქარონ შემოტანა საწევრო ფულისა, რომლის გადახდის შესამსუბუქებლად ვადა არის დანიშნული და შეუძლიანთ 4—8 წლამდე ნაწილ-ნაწილად გადახდა, შემოსატან ფულის რაოდენობისდა გვარად.

საწევრო ფულს ვიღებ თვით მე, ვაძლევ წესდებასა და ბლანკებს და აგრეთვე ყოველსავე საჭირო განმარტება-ახსნას საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა, აგრედვე „სევერნი ნომრებში“ 2—4 საათამდე.

აქავე შეიძლება დაზღვევაც ნათესობისა. საწევრო ფულს იღებენ აგრეთვე ამ საზოგადოების აგენტები.

დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელი, ინსპექტორი

პ. მ. ოკულიჩი

(10—1177—1)

რადგან 21 აპრილს არ შესდგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა **საგანგებო კრება**, ამიტომ იგი თანახმად წესდების § 15-ისა, ხელმეორეთ დანიშნულ იქმნა 1 მაისისათვის, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველი საგნები არიან:

1, მოხსენება სარევიზიო კომისიისა $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშის შესახებ და აზრი გამგეობისა ამ მოხსენების შესახებ.

2, მოხსენება კომისიისა, რომელსაც წლიურის კრების მიერ მინდობილი აქვს გამორკვევა სკოლების გახსნის საქმისა.

3, მოხსენება გამგეობისა საზოგადოების საქმეთა წარმოების რიგის შესახებ.

4, არჩევა სარევიზიო კომისიისა შესამოწმებლად მიმდინარე წლის ანგარიშისა.

და 5, არჩევა საზოგადოების ახალის წევრებისა.

**ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკისა** ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ დამფუძნებელთ და მსესხებელთ ბანკისას, რომ ბანკის წესდების მე-82 §-ის ძალით **საზოგადო კრება დანიშნულია ამ 1894 წლის 12 მაისს, დილის 10 საათზედ,** საადგილ-მამულო ბანკის სახლში, ტფილისს, სასახლის ქუჩაზედ.

საზოგადო კრების საქმენი:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1893 წლის ანგარიშისა.

2) მოხსენება იმის შესახებ, რომ შეცვლილ და შევსებულ იქმნას მე-13, 14, 21, 22, 26, 28, 29, 38 და 54 §§-ი ბანკის წესდებისა.

3) მოხსენება იმის შესახებ, რომ სესხი მიეცეს ერობას, ქალაქებს, საზოგადოებათ და საზოგადოებრივ დაწესებულებათ.

4) მოხსენება იმის გამო, რომ ბანკის მოქმედება გავრცელებულ იქმნას მთელს ამიერ-კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიაში.

5) მოხსენება იმ შენობის გადაკეთების გამო, რომელშიაც მოთავსებულია ბანკი.

6) მოხსენება იმის შესახებ, რომ მმართველობას ბანკისას მიემატოს კიდევ ერთი წევრი და მისი კანდიდატი.

7) მოხსენება იმის შესახებ, რომ %-ობითი ჯილდო, რომელიც ეძლევათ ბანკის მოხელეთ, შემცირებულ იქმნას.

8) მოხსენება კონვერსიის მდგომარეობის თაობაზედ.

9) მოხსენება კერძოდ აღმორჩეულ კომისიისა დამფასებელ კომისიის დაფასების ინსტრუქციის გადასასინჯავად.

10) მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკმა თავის საკუთრებად დაიმტკიცოს ქარვასლა და სახლი ფრეილინის ქუჩაზედ.

11) მოხსენება იმის გამო, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას დაუმტკიცდეს სკრის მამული.

12) განხილვა და დამტკიცება 1894 წლის ბანკის მართვა-გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვისა.

13) მოხსენება იმის შესახებ, რომ 1894 წ. 1 ივლისიდგან $^1/_4$%-ით შემცირებულ იქმნას გარდასახადი, რომელიც ერთმევათ ბანკის მსესხებელთ არა-დამფუძნებელთ სოფლის მამულებზე გატანილის სესხისა ბანკის მართვა-გამგეობისათვის.

14) მოხსენება იმ საჭიროებათა შესახებ, რომელთაც უნდა მოხმარდეს საზოგადო საჭიროებისათვის წმინდა მოგების 35%-ტით შემდგარი თანხა.

15.) არჩევანები: ზედამხედველ კომიტეტის ათის წევრისა, მმართებლობის თავმჯდომარისა თ. ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის მაგიერად და დამფასებელი კომისიის თავმჯდომარისა კონსტანტინე ლუარსაბის ძის ფურცელაძის მაგიერად, რომელთაც რიგით თავი უნდა დაანებონ სამსახურს.

## ახალი ამბავი

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მომავალს ლატარია-ალეგრის შემოსწირეს:

ნინო გურიჩის მეუღლემ ოთხი ლამპარის დასადგმელი.

ნიკოლოოზ ბესარიონის ძის ლოლობერიძის შემოწირულ ფულით ნასყიდ იქმნა სამი ხალიჩა.

ანნა დავითის ასულმა გაბაშვილისამ ორი ბროლის ვაზა,

ვერა ლევანის ასულმა ლოიძისამ ბუხრულის ხელოვნების სამაჯური, 6 მანეთად ღირებული.

კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასულმა ბარათაშვილმა შემოსწირა ორი ვაზა ყვავილისა და ერთი გრაფინკა.

ვაჭრებმა: შამოევმა, ტერ- ოჰანეზოვმა, როტინოვმა, კაფიევმა, ალიბეგოვმა ნაკლებ ფასად დაგვითმეს ნივთები და შემოსწირეს კიდეც თითოეულმა მათგანმა რამოდენიმე ნივთი.

ვლადიმერ მაჰავარიანმა—ოც-დახუთი ნივთი.

*** ტფილისის გუბერნატორმა ამ დღეებში დაამტკიცა წესდება ქალაქის საბჭოს მიერ შედგენილი ტფილისში პირველის ცხენების იარმუკის გამართვის შესახებ. ტფილისში ცხენების იარმუკა გაიმართება მაისის 5-დამ და გასტანს ორ კვირას.

*** დღეს, მაისის 1-ს, მის უმაღლესობის დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის ტფილისის პირველ დედათა გიმნაზიაში წლიური აქტია დანიშნული.

*** დღეს, დიდუბის ყაბახზე და-

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

ვინაა მსხვერპლი ჭორისა? — „მანია გრანდიოზა“. — მაღალ ხარისხოვანი ჭორი.

ქართველ მკითხველისათვის საჭიროდ არ მიგვაჩნია დაწვრილებითი განმარტება იმისი, თუ რა არის ჭორი: ჩვენს თანამემამულეს ამაზედ ბეჯითად მგონი არც ერთი განყენებული ცნება არა აქვს შეთვისებული. ისიც კარგად მოეხსენება მკითხველს, რომ მსხვერპლად ჭორის გესლისა შეიქმნება ხოლმე კაცი ან ქალი, რომელნიც განირჩევიან ნათესავთა და მეგობართაგან რომელისამე უტყუარის სიკეთითა და ღირსებით.

მაგალითი პირველი. აგერ შევიდა ოჯახში ახალი რძალი, სახელად, ვთქვათ, ელენე, რომელსაც სილამაზით ვერ შეედრება ვერც ერთი ქალი ამ ოჯახის საგვარეულოსი. ვაჟკაცებს თავი მოსწონთ, რომ ასეთი ქალი ამშვენებს მათს გვარს. ხოლო ქალებს-კი პირველ დანახვაზედვე გულები ჩასწყდათ. აღიძრა დაუშრეტელი წყურვილი შურის-ძიებისა, როგორ თუ ელენე ჩვენზედ ლამაზიაო და როგორ თუ იმის მაყურებელმა აღარც ერთმა ახალგაზდა კაცმა ზედაც აღარ უნდა შემოგვხედოსო!.. დღეის იქით ამ გვარში სხვებისგან უფრო პატივცემული ქალი ის შეიქმნება, ვინც გამოატყვრენს ადვილად-დასაჯერებელ ჭორს შესახებ ელენესი. ასეთი ქალიც აღმოჩნდა—იგია დარბაისელი ელისაბედი, რომელსაც დაუდვია ტუჩზედ თითი და მწუხარედ მოსთქვამს: „სილამაზით ელენეს ქალი არ შეედრება, მაგრამ რას ვაქნევთ მის სახის სიტურფესა და შვენებას, თუ-კი ხასიათი მახინჯი ექნება და საქციელი დასაძრახი!.. ახალგაზდა კაცს გულ-გრილად ვერ შეჰხვდება—უთუოდ უნდა ან გაუარშიყდეს, ან გაიარშიყოს. იმ დღეს...“ და სხვანი, და სხვანი.

მაგალითი მეორე. თქვენს სოფელში, ვსთქვათ, გურგენი ყველაზედ მორის მხედველი და ჭკვათა-მყოფელი კაცია, რის გამოც ყოველი ნაცნობი გაჭირებაში მიჰმართავს რჩევისათვის ამ კაცს. თვითონ თქვენც ბევრჯელ გამოგიყენებიათ გურგენის რჩევა, მაგრამ აბა სინიდის ქვეშა სთქვით, რამდენი ცხელ-ცხელი ჭორი შეგიხანხლავთ მაგ კაცის შესახებ. ხომ ბევრი! ნეტა რად მოქცეულხართ ასე? იმას ხომ თქვენთან სიკეთის მეტი არა მიუძღვის-რა, და მაშ რა მიზეზია თქვენი მაგეთი სამაგიერო?—აქაც, როგორც პირველ მაგალითში, არის მხოლოდ ერთად-ერთი მიზეზი: თქვენ თავმოყვარეობას არაფრად ეპიტნავება, რომ ყველანი გურგენის ჭკვათა მყოფლობას აღიარებენ და, როცა-კი ჭკუის შესახებ ჩამოვარდება სიტყვა, ფიქრადაც არავის მოსდის ახსენოს თქვენი სახელი.

შური გახლავთ, ბატონებო, შური, რომლის წყალობითაც ვუმწარებთ სიცოცხლეს ყველას, ვინც-კი გვჯობია რითიმე. ჭორის გესლსა და შხამს აიცდენს თავიდგან მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც ღმერთს არაფრის შნო და უნარი არ ურგუნებია. ახლა თქვენ თვითონ გაზომეთ ზნეობა კაცისა თუ ქალისა, რომელსაც გულს უტკიებს არა ნაკლი მოყვასისა, არამედ სიკეთე და ღირსება მისი!.. მგონი, ასეთის ზნეობისთვის საზომავიც ვერ იშოვნოთ!

თუმცა მდაბალის თვისებისაა ჭორი, რომელსაც ასე ერთგულად მისდევს ჩვენი თანამემამულე, როგორც წევრი დაქვეითებულ საზოგადოებისა, მაგრამ ამ ჭორს მაინც კერძო ხასიათი აქვს და ხშირად ერთს ოჯახს, გვარს, სოფელს ძლივს გასცილდება ხოლმე და ჭორის მსხვერპლი მეორე ოჯახსა, გვარსა და სოფელში მაინც ამოისუნთქებს თავისუფლად.

**

რაც გინდ დამამცირებელი და დამაზიანებელი იყოს ჭორი კერძო ხასიათიანი, მას კიდევ გაუძლებს ქვეყანა კარგა ხნობამდე. ძნელი ის არის, რომ ჩვენში ამ ბოლო დროს გაიდგა ძირი ისეთმა ჭორმა, რომელსაც საზოგადო ხასიათი აქვს, რომელიც არის მაღალ ხარისხოვანი და ამის გამო მოედება ხოლმე არა თუ მარტო გვარსა და სოფელს, ანუ გინდა მაზრას, არამედ მთელ ქვეყანას!..

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენის ცხოვრების სრულებით ახალ სიმახინჯესთან, რომელიც უეჭველად უნდა აღინიშნოს მთელის თავის ტანით და რომელსაც ღრმად უნდა ჩაუკვირდეს ყოველი განვითარებული ქართველი, ვისაც-კი მართლა უცემს გული ჩვენის წარმატებისათვის.

საზიზღარია კერძო ჭორიკანობა და საზიზღარია კაცი, რომელსაც ხელობად გარდუქმნია ჭორი. ხოლო ერთი ათასად უფრო საზიზღარია ჭორი, რომელსაც მოჰბეზრებია ვიწრო ასპარეზი ოჯახისა, გვარისა, სოფლისა და უსირცხვილოდ გაუფართოვებია მოედანი, მიულია-რა საქვეყნო, საზოგადო ხასიათი!.. რაიცა შეეხება იმ გრძნობას, რომლის ღირსიც არის ავტორი ამ გვარის ჭორებისა, დასასახელებლადაც-კი მოუხერხებელია...

ასეთმა ჭორმა, ჭორმა უმაღლესის ხარისხისამ, კარგა ხანია აიდგა ფეხი ჩვენს უბადრუკ საზოგადოებაში და ნამეტნავად შესაზარებელი სახე მიიღო ამ უკანასკნელ წლებში. ბევრმა ჩვენგანმა კიდეც იცის, ვინც გაუწია პირველი ბებიობა ამ ხასიათის ჭორს,

ნიშნულია უკანასკნელი დოღი. დოღის შემდეგ დანიშნულია ყაზახების ჯირითი. ამავე დღეს დაურიგებენ საჩუქრებს გამოფენაზე დაჯილდოებულ ცხენების პატრონებს და ცხენების გამოფენა ამით დაიხურება.

*** კავკასიის მუზეუმის დირექტორი ბ-ნი რადდე გუშინ ტფილისიდგან გაემგზავრა დაღესტანში სამეცნიერო აზრით მის დასათვალიერებლად. ამ მგზავრობას ბ-ნი რადდე მოუნდება ივლისამდე.

*** გუშინ კავკასიის გზათა ოლქის უფროსს დეპეშით აცნობეს, რომ კავკავის გზაზე სადგურ გუდაურსა და კობს შუა აპრილის 29-ს ჩამოწვა დიდი ზვავი და ქვეშ სამი ფურგუნი მოიყოლა. ერთი მათგანი იმავე დღეს თოვლიდგან ამოუთხრიათ. 2-კი დაღუპულა მეფურგუნეებით და ექვსის მგზავრ მაჰმადიანით. აპრილის 30-ს დილით თოვლი გაუთხრიათ და ერთი ფურგუნი კიდევ გამოჩენილა ზვავისაგან დამსხვრეული ორის გაყინულ კაცით და ოთხ მკვდარ ცხენებით. კობსა და გუდაურს შუა მისვლა-მოსვლა ეტლებისა შესწყდა. პირველ მაისს იმედი აქვთ ინჟენერებს გზის გასუფთავებისა. მოდის საშინელი კოკა-პირული წვიმა. არაგვი ძლიერ ადიდდა და წილკანს ახლოს მოუტაცნია ერთი ურემი მეურმითურთ, რომელიც ჯერაც ვერ უპოვნიათ.

*** საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებას აცნობებენ ოფიციალურად, რომ თელავის მაზრის სოფ. შილდაში სახადი გაჩნდაო. ტფილისის გუბერნატორის განკარგულებისამებრ თელავიდგან შილდაში გაჰგზავნეს ამ სენის მოსასპობლად ექიმი.

*** მთავრობის განკარგულებით სამსახურიდამ დათხოვნილ იქმნა ხონის სამოსწავლებელო სემინარიის დირექტორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პავლე სოკოლოვი, და იმის ადგილზე დაინიშნა თერგის ოლქის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორი სტატსკი სოვეტნიკი მოხირი.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრნი მიწვეულ არიან მორიგ კრებაზე, სამშაფათს, 3 მაისს, ღამის $7^{1}/_{2}$ს. კრებამ უნდა განიხილოს: მიმომდინარე საქმეები და მოხსენება ა. ა. ქალანთარისა: სამეურნეო სამინისტროს ადგილობრივ დაწესებულებათა შესახებ. ამ კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

*** ბ. ნ. პ. აზნელევმა წაიკითხა 29 აპრილს, პარასკევს მეორე ლექცია, რომელიც, როგორც პირველი, განიყოფებოდა ორ ნაწილად. პირველ ნაწილს შეადგენდა შესწავლა ცისა საშუალო და ჩვენის დროის საუკუნოებში. მეორე ნაწილში არჩევდა მზეს და ასტროფიზიკის და ასტროხიმიის დასაწყისს. ლექტორი ამ ლექციაზე უფრო ხმა-მაღლა და გარკვევით ლაპარაკობდა.

დღეს ბ-ნი აზნელევი წაიკითხავს უკანასკნელს ლექციას ცის შესახებ.

*** როგორც ვიცით, მხოლოდ, კავკასიის ექვსი გუბერნიის ვიცე-გუბერნატორნი არ იმყოფებიან გუბერნიის საგლეხო და სასოფლო საქმეთა საკრებულოს წევრებად. ამ მთავრობის წარმომადგენელთა საგლეხო საქმეთა მიმდინარეობასთან უფრო დაახლოვებით გასაცნობად, რადგან გუბერნატორების-არა ყოფნის დროს მოუხდებად ხოლმე ხელმძღვანელობა კავკასიის სამოქალაქო ნაწილისა, მთავარ მართებელს დაუწყია შუამავლობა მთავრობასთან, რათა ტფილისისა, ქუთაისისა, ბაქოს, განჯისა და ერევნის ვიცე-გუბერნატორნიც ჩარიცხულ იქმნენ გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოების წევრებად ხმის უფლებით.

## დამაკვირდი

—

ბევრია იმისთანა ადამიანი, რომელიც წიგნსა კითხულობს მხოლოდ იმისათვის, რომ თავიდგან მოიშოროს სამოქმედოდ აღძრული გონება,

ლიხტენბერგი

**

რამ შექმნა ადამიანი? თუ ღმერთმა—მეტად უკარგისია, თუ შემთხვევამ—მეტად კარგია!

ლესსინგი

**

კაცთა შორისაც, როგორც წიგნთა შორის, ბევრი ისეთი ეგზემპლიარია, რომელიც კრიტიკისა და საყვედურის ღირსიც არ არის.

გეტე

***

სალამი, ტურფა მაისო,
გრძნობისა დამატკბობელო,
ბუნების მშვენიერებავ,
დრო-ჟამის შემამკობელო!..
მო, ტკბილის ცვარით დაგვნამე,
შენ გამკობს, გეტრფის ყოველი,—
სულიერი და უსულო,
მწირი, ქვემძრომი, ცხოველი.
ბულბული გიყეფს ქებასა,
შენს ხოტბას ამბობს შროშანი,
შენდა რბის სულით ტანჯულით,
გულით მოწყლულით მგოსანი.
ყვავილნი სუნსა გიკმევენ,
ვარდი გეფიანდაზება,
ნარგიზი ღამილს მოგიძღვნის,
ია-კი მოგენაზება...
მოდი და ჭნახე ქვეყანა,
გულ-გადაშლილი ბუნება...
ისევ ის არის... ეს ტურფა
მხარე არ დაიწუნება.
ქართველთ სამშობლოს მეჭნატრის
დღესაც ყოველი მნახველი,
ისევე უხვად ჭზრდის ნაყოფს
მისი მინდორი და ველი.
ისევ ამშვენებს ცა ფირუზ,
მთა და კლდე მწვანილოვანი,
დაქანებულნი ჩანჩქერნი,
ტყე-მუხა ათას-წლოვანი...
ჩვენ-კი აღარ ვართ, მაისო,
მარტო ჩვენ შევიცვალენით,
ძველსა ქველობას, დიდებას
მოვაკლდით, დავიცალენით.
სადღაა ჩვენში ერთობა,
ან სიყვარული და-ძმური?..
მის ნაცვლად ჭმეფობს, მბრძანებლობს
ერთურთის მტრობა და შური!
სულით ურწმუნო და გულით
მზაკვარნი, მიუნდობელნი,
დავკნინდით, დავქალაჩუნდით,
მამა-პაპათა მგმობელნი!
ჩირქი ვცხეთ ენას წმიდასა,
ვუმტყუნეთ ძველს წესს, ძველს სჯულსა,
ნაღველი გავუთავეთ
სამშობლოს მრავალ-ტანჯულსა...
არ ვიცით მოძმის გატანა,
ჭირ-ლხინის განაწილება...
ჩვენის თავისავ ვერცხვენიან,
სახელი გვეთაკილება...
სალამი, ნაზო მაისო,
მო, ჭნახე ტურფა ბუნება
და ყვავილ-ვარდით შემკული
ეს ჩვენი დამაბუნება!..

კენტი

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი).

დღეს ბუნების აყვავებისა, მისის ზეიმისა და დღესასწაულის დღეა; დღეს გაზაფხულის უმშვენიერესი ასული მოვიდა ჩვენდა მთელის თავის ტურფა ამალით: თან მოაქვს ერთმანეთზედ გადაკონილი ია-ვარდი და აბნევს ველსა მწვანილოვანსა მისდა ასაფერადებლად, მისდა გასალამაზებლად, მისდა გასასურნელოვანებლად. დღეს,

ზამთარს წაუხდა აწ პირნახული,
ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული!..

დღეს ზამთრით დამზრალს, დაჩაგრულს ადამიანს შეძლება მიეცა თავისუფლად ამოისუნთქოს, ამ სუნთქვას ამოატანოს გულის დახავსებული ჰაერი, ცხოვრების მღვრიე, ნიავით მინაბერი, და მის ნაცვლად ადგილი დააჭერინოს ყვავილთა სუნსა ამოსა.

მოვიდა ტურფა ასული, მაისად წოდებული, და ტრფობად აგვიტოკა და აგვიძგერა გული, ძარღვებში სისხლი შეათბო და შეაღელვა, სიცოცხლე განაცხოველა, გონება გაახალისა, თვალი თვისის მშვენიერებით დაატკბო, ყური—იადონის ჭიკჭიკით, ყნოსვა—ამბრითა და მუშკით შეზავებულის ჰაერით. ამ მშვენიერებას, ამ გალაღებას ბუნებისას როგორღაც არ ეთანხმება, არ ეხმოვანება და ერითმება ადამიანის გულში ჩათესილი მტრობა და შური... მაისი ხანაა სიყვარულისა, მეგობრობისა, ალერსისა და სიამოვნებისა. ამ ტურფა ასულს ხელთ უჭირავს პირველად დედა-მიწის გულიდგან გაზაფხულის გრძნებითა და თილისმით აღმოხეთქილ ყვავილთა გვირგვინი და იმას დადაფნავს, ვინც უფრო შეუხამებს თავის სულისა და გულის თქმას ბუნების ზეიმსა და დღესასწაულს, ვინც უფრო მეტად და სავსებით გაუღებს გულის კარს სიყვარულს, ალერსს, სიამოვნებას.

მაგრამ შეხედეთ აბა ნორჩს სახეს ამ ტურფა ასულისას: მშვენიერნი, გიშრის თვალნი თითქოს ისე აღარ უელვარებენ, გარდაშლილი შუბლი რაღასაც დაუსერია, ტურფა ბაგეს მწარე ღიმილი შესთამაშებს და მთელს მის ალის-ფერს სახეს მწუხარების ჩრდილი გადაჰფენია... ყურს არ მიაპყრობს ღიმილით ფრთოსან მიჯნურის ტკბილს კვნესასა, რომლითაც იგი დაჰკონებია სუმბულს და თანაგრძნობას, ალერსს ემუდარება; აღარა ჰკრეფს იგი ნაზის, ბროლის თითებით პირველ მაისის ნამს, ყვავილბალახში მარგალიტის ცვარად მიმობნეულს, და არ ეწაფება ამ ნექტარს; ნაზად უღიმის ამწვანებულს ველმინდორს, მაგრამ ამ ღიმილშიაც თითქო სამდურავი და წუხილი გამოითქმის, მწუხარების შუქი გამოჰკრთის.

დიაღ, მწარე ღიმილით შესცქერის იგი მშვენიერს და საუკეთესო ქმნილებას უფლისას, ადამის ძეს, რომელიც გაჰყოლია სოფლის ამაოებას, რომელსაც შური გაუძღოლია წინ ლამპრად და მტრობა მისდევს უკან ჩრდილად და რომლის გულს, არსებობისათვის ბრძოლის ჟანგ-მოდებულს, დახავსებულს, დაობებულს, ვერავითარი მისი ვერდა ააყვავებს, ვერდა შეატოკებს, ვინაიდგან მისი კარი სამუდამოდ დახშულია სიყვარულისა და ალერსისათვის.

იქნება ისიც ამწუხარებს ტურფა ასულს, რომ, თითქოს მისდა სამტროდ, მისდა საკიცხებლად, მისის მშვენიერების გასაფუქსავატებლად ადამის ძეთ სწორედ ეს თვე დაუდვიათ საქვეყნო საქმის განსასჯელად და განსაკითხავად, ერთურთის მოქმედების ასაწონ-გასაზომად, ერთმანეთის საკიცხავად და საგესლავად.

მართლაც-და, ნეტა რამ აფიქრებინა ადამიანს პირველ საბანკო არჩევანი ამ თვეში დაენიშნა, ის არჩევანები, რომელიც უფრო სუსხიანის ზამთრის ნუგბარია და ნობათი, ვიდრე მშვენიერებით შემკულის გაზაფხულისა?!. აბა მიმოიხედეთ: ბულბულის ტკბილს გალობასთან გაისმის მომავალ კენჭოსანთა რისხვისა და

---

ვინ ჩაუდო პირში ძუძუ, ვინ მიიკრა იგი გულზედ და ვინ აღზარდა იგი მოსიყვარულე დედის ალერსით.

რადგანაც ჩვენს ქვეყანას ისე ვერა დაისხავსრა თავზედ ლაფს, როგორც არსებობა და გაძლიერება ამ უმაღლეს ხარისხის ჰორისა; რადგან ამ გვარ ჰორის აყოლა პირველი და უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ქვეყანა გადაგვარების გზას დასდგომია და ვიდრე ამ გზას არ გადუდგება, მისი ხსნა განსაცდელშია,—ამიტომ მე ჩემ ზნეობრივს მოვალეობად მიმაჩნია გავუზიარო მკითხველს, რაც-კი რამ ვიცი შესახებ აღნიშნულის სისაძაგლისა, შეძლებისამებრ ვაცნობო მისი აგებულება, მისი მნიშვნელობა, და მისნი განზრახვანი.

ვისაც ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობისათვის თვალ-ყური უდევნებია, ეცოდინება, რომ ჩვენს აგრეთწოდებულ განათლებულ საზოგადოებას ერთ-ხანად დაერია სენი, რომელსაც პსიხიატრები mania grandiosa-ს ეძახიან—ვინც-კი თავის კუდის ოდენა კორრესპონდენცია დაბეჭდა გაზეთში, თავისი თავი პირველ მწერლად მიიჩნია; ვისაც სიფრიფანა და ნაცოდვილარი წიგნაკი დაესტამბნა, ჰფიქრობდა, რომ იგი, ავტორი ამ შესანიშნავის თხზულებისა, არის უძლიერესი სვეტი, რომელზედაც უშიშრად დაბჯენილა სამშობლო. ამ „მანია გრანდიოზამ“ ბევრი ჩვენი თანამემამულე აიტანა და საკმაო სისულელეც ჩაადენინა მათ. რასაკვირველია, ასეთი მოვლენა არავისთვის არ იქმნება სასიამოვნო, მაგრამ რადგან საზოგადო ზარალი მას არა მოჰქონდა-რა და სასაცილო-კი შიგ ბევრი ეყარა, ამიტომ მრავალი ჩვენგანიც გულიანად ვიცინოდით. ან რატომ არ უნდა გაგვეცინა, რა გვენაღვლებოდა—დეე, ოთხის დღის ხბოს თავისი თავი მძლავრ ლომად წარმოედგინა და მრისხანე სახით გადგომოდა წინ სპილოს, არხეინად მიმავალს თავის გზაზედ. დეე, მხიარულ მაყურებელთ ეცინათ ამ მართლა სასაცილო სურათის დანახვაზედ, ვის რა საქმე ჰქონდა! მაგრამ საუბედუროდ ამ სურათმა დაჰკარგა სამხიარულო ხასიათი შემდეგში, როდესაც „მანია გრანდიოზა“, ანუ მადაგანდიდებისა, გაუჯდათ, უმანკო ხბორების გარდა, სხვა გვარ ცხოველებსაც, რომელთაც განდიდების მადასთან სხვა გვარი მადაც ალაპარაკებდათ.

**

რადა ჰორმა ისეთი უნარი გამოიყენოს და ისეთი ხასიათი მიიღოს, რომ საზოგადოების ყურადღების ღირსი შეიქმნეს, ქვეყნის ყურამდე მიაღწიოს, ამისთვის აი რამდენი რამ არის საჭირო: პირველად, ჰორმა ისეთი საგანი უნდა ამოიღოს თვალში, რომელიც შეაძრწუნებს ქვეყნის ზნეობრივს გრძნობას; მეორედ, ჰორის გესლი უთუოდ უნდა ჩაუშვათ გულში იმისთანა კაცს, რომელმაც ასე თუ ისე იჩინა თავი, რომელსაც ქვეყანა იცნობს და რომლისაც იგი მადლიერია მოღვაწეობისათვის; მესამედ, თვით ჰორის ავტორი უნდა იყოს რითმე ცნობილი კაცი ანუ ცნობილ კაცს შეაჭედინოს თავისი ჰორი, დაამტკიცებინოს, ბეჭედი დაასმევინოს და კვერი დააკვრევინოს მას; მეოთხე აუცილებელი გარემოება, რომელმაც უნდა ჰორს მისცეს ძლიერება, მედგრობა და რწმენა, მდგომარეობს იმაში, რომ მაღალ ხარისხის მეჰორემ მიაგნოს რამდენსამე სხვა მეჰორეს ამავე ხარისხისას, და მეხუთე ხომ გახლავთ თვით ის ასპარეზი, სადაც ამ ჰორმა უნდა გაიტანოს თავისი ლელო, გახლავთ თვით საზოგადოება, მისი საქმიანობა თუ მოცლილობა, მისი ზნეობრივი მოდუნება თუ სიმტკიცე. ამ მეხუთე გარემოებას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თუ საზოგადოება საქმიანია და ზნეობრივად მტკიცე, მაშინ რაც გინდ ხელოვნურად იყოს შეზავებული ჰორი და რაც გინდ სახელიანი კაცები აღმოუჩნდეს მას ავტორებად, მაინც საზოგადოება ნირსაც არ შეიცვლის და ყურადღებასაც არ ათხოვებს, მაინც ჰორი მანძილს ვერ გაივლის და განჰქრება დაბადებისთანავე. მაგრამ ვაი ჰორის მსხვერპლის ბრალი, თუ საზოგადოება მოცლილია, არაფერში არაა გართული და თუ ამავე დროს მოდუნებულია ზნეობრივ. ამისთანა შემთხვევაში ჰორი, გინდ უხეიროდაც შეხანხლული, გაიდგამს ფესვებს, გაიზდება, ალორძინდება, გამაგრდება, დაალრჩენს საშინელს ყბას და გადაჰყლაპავს თვის მსხვერპლს.

უძლიერესი იარაღი მაღალ ხარისხოვანის ჰორიკანასი გახლავთ ისა, რომ სამშობლოს ბედნიერების მოღვაწედ ცნობილსა და მიჩნეულს კაცს ჩაუფუშოს ნაამაგარი რამდენისამე წლისა და გამოიყვანოს იგი ქვეყნის მოღალატედ თუ არა, საეჭვო ადამიანად და სამშობლოს ბედის მიმართ გულგრილად-მაინც. რამდენი უფრო თქვენზედ მაღალი იქმნება ადამიანი, რომელსაც თვალში ამოიღებთ, მით უპრიანია თქვენთვის, რადგან ქვეყანა იტყვის—ალბად ამ კაცებს-უფრო ძლიერა ჰყვარებიათ სამშობლო, ვიდრე იმას, ვისაც აქამდე ვ ღმერთებდითო, და მაშასადამე მთელი ჩვენი თანაგრძნობა უნდა გადმოვიტანოთ ამათ ზედ. არაფრობასა და არარაობაში მხოლოდ ასეთს ღონისძიებას-ღა სახელის მოპოვებისას თუ ჩაჰკიდებს ხელს „მანია გრანდიოზათი“ შეპყრობილი სნეული, თორემ სხვა შველა და ხსნა არსაიდამ სჩანს მისთვის...

დანარჩენი შემდეგისთვის იყოს.

სანო.

მუქარის სიტყვები.

აგერ იადონმა სუმბულს სიყვარული დაჰკვნესა და იქვე ერთი კენჭოსანი მეორეს მოწინააღმდეგე დასის მეთაურს ძირს უთხრის და არა სამაისო ლექსიკონით ამკობს... აგერ ყვავილნი განაბნევენ სურნელოვანებასა და ამ სურნელოვანებასთან ჰაერში ერთად გაბნეულია ჭორი, ჭორი პირ-ახეული, დაუსაბუთებელი, შავი და ბნელი, შურით სავსე გულში გამომცხვარი და თეთრის კბილის გამოჩენით გამოფენილი კაცთა შორის გასავრცელებლად...

აგერ დილის სიო რა ლამაზად აბიბინებს ხავერდის მოლსა და ბალახს და ბუნების უხვს კალთაზედ გადაგორებული ადამიანი რა მრისხანედ გამოიყურება, როგორ ემუხვნება წარბები, როდესაც გაიხსენებს, რომ შეიძლება წრეულსაც, უწინდელებრ, არ გასჭრას ჩემმა უსამართლობამ, მტრობით შენელებულმა, ჭორით შეზავებულმა, და სიმართლე უვნებლად გადარჩეს როგორმე მის ფრჩხილთა ქვეშე ისეთის მეცადინეობით და გულმოდგინებით გათხრილს ორმოს, რომლის თხრის დროსაც შავი განზრახვა, ცილი და ქვენა გრძნობა იყო ხმარებული ბარად და ნიჩბად. ამ ადამიანის გარს მყოფი ვარდნი, ყვავილნი, ბუჩქნი და ბალახნი, მწერნი და ფრინველნი ამაოდ ჩასძახიან ოთხ-კუთხიდგან: შორს ჩვენგან, გაწადი, ნუ გვიშხამავ საერთო ლხინს, ბუნებას შენთან საერთო და საზიარო არა აქვს რაო, მაგრამ ის ისე ჩახვეულია შავთა განზრახვათა ბურუსში, რომ აღარა ესმის-რა, არც აკოკრებულს ვარდსა ჰხედავს, არც ნაზად თავ-დახრილ იას, არც ტურფად მსტვინავს იადონს. ვერც იმას ჰხედავს, რომ ღვარძლი და ეკალი ამოსვლია გარს და გადაჰკონებია, გადაჰხვევია; ვერა ხედავს, რადგან მისი გული ბრმაა ამ ქვეყნის ავ-კარგის დასანახავად, ვერა ჰხედავს, რადგან

გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუძღომელი;
გული ბრმა, ურჩი ხედვისა,
თვით ვერას ვერ გამზომელი;
გული მოძმის არ გამტანი,
მის ბოროტების მდომელი,
ალერსის, სიყვარულისა,
კეთილის უარ-მყოფელი!...

ჩიორა

## ორიოდე სიტყვა ტფილისის მოსამსახურეთა შესახებ.

ბატონი აკაკის ჩინებულმა წერილმა, იმერელ მოსამსახურეების შესახებ გამაბედვინა მეც წარმომეთქვა ჩემი აზრი ისე როგორც შევიძელი. მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრება ტფილისში სწორედ რომ სამწუხარო რამ არის. ამდენი ხანია, რაც თვალს ვადევნებ ჩვენს მდგომარეობას, და რაც დრო გადის, იმდენი უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ უკიდურესს მდგომარეობაში ვცვივდებით. ამ უკიდურესობას შეადგენს ზნეობის დაცემა ჩვენში, რომელსაც მოსდევს ქონებრივად დაღუპვაც. ათასობით ჩამოდიან იმერეთიდან ფულის საშოვრად ტფილისში, თვისის ოჯახობის ფეხზედ წამოსაყენებლად და აქ-კი სამაგიეროდ ჩვენი ხალხი ეჩვევა სხ. და სხ. გვარს უზნეო საქციელს, რადგანაც თავს ვერსადართობს და არცა ჰყავს გულ-შემატკივარი მზრუნველი, რომ როგორმე აარიდოს ის მრავალ გვარი ზნეობის გამათახსირებელი გარემოებანი, რომელიც ჰხვდება ჩვენს ხალხს ტფილისში. ამგვარ ზნეობის შემარყეველ მიზეზად ვაღვიარებთ მეც და ყველა ჩემი თანამოძმენიც ყავახანებში ქაღალდის თამაშს, რომლითაც თავს ირთობს მოსამსახურე ხალხი. აქ თავის გართობას მოსდევს დამღუპველი ჯიბის შეთხელება, ოჯახის დაღუპვა და შიმშილით ამოწყვეტა, რადგანაც მოსამსახურედ გარედ გამოსულს კაცს რაკი ოჯახს თავს ანებებს რაღა შემოსავალი უნდა ჰქონდეს ოჯახიდან?

ქაღალდის თამაშობას უნდა დავრთოთ მრავალი სხვა სამარცხვინო საქციელიც: ლოთობა და სხ.

მოსამსახურეთა წრე უთავობით და ჩაუგონებლობით ჰკარგავს ხალხში ნდობას, ეჩვევა უწესო საქციელს და ბოლოს ჩავარდნილი უკანასკნელს გაჭირვებაში სასო-წარკვეთილებას ეძლევა. მერმერა შედეგი მოსდევს ამას? სამწუხარო მაგალითი იმათ თვის, ვინც სრულიად პატიოსანი და კეთილი ჩამოდის სოფლიდან. მოსამსახურეები ნელ-ნელა ივიწყებენ სოფელში შეთვისებულ კარგს ჩვეულებას, ეჩვევიან ცუდს ადგილებზე სიარულს, ივიწყებენ ეკკლესიებს, ჩემის ყურით გამიგონია ბევრისაგან: „ერთი წელიწადია არ გამივლია საყდარში და ეხლაც სირის საყურებლად მოვედიო“.

აი მაგალითებიც ჩვენის ცხოვრებისა: ამ წელს, იანვარში, ერთ ჩემ მეგობართან ვიყავი მიწვეული. როცა ღამე იქიდგან დავბრუნდი, ასე 3 საათზედ ერთს ჭისკართან რაღაც შავი რამ ატუზულიყო. ახლო რომ მივედი, კარგად ჩავაცქერდი, აღმოჩნდა, ერთი ჩემი ნაცნობი მზარეული. როცა მიზეზი ვკითხე, მიპასუხა: „დავიღუპე, ჩავყარე ცეცხლში ჩემი ცოლ-შვილი. სამი თუმანი ჩემი წავაგე ქაღალდში და ხუთი მანეთიც ბატონისა, ოც-და-ხუთს მანეთშიაც პალტო გამხადეს და დავრჩი ასე წყალ-წაღებულიო“. მეორე დღეს, როცა იმის ბინაზე მივედი, ბალიშ ქვეშ შემდეგი ბარათი დამხვდა: „რადგან ჩემი ცოლ-შვილისათვის სიცოცხლით გამოუსადეგარი შევიქენი გადავწყვიტე, რომ სიკვდილით მოვაშორო თავი. მაშინ იმედი მაინც აღარ ექმნებათ ჩემი“. მართალია, ამ ჟამად გადავარჩინე ჩემი ნაცნობი უბედურებას და სიკვდილამდე არ მივაღწევინე, პალტოც დავუხსენი და ხელიც გავუმართე, მაგრამ რამდენია ასეთი შემთხვევა, ყველას საიდან გაუძლევება ადამიანი...

ერთს ნაცნობს მზარეულს კიდევ (სომეხია) ვერცხლის ქამარი მივეცი გასასყიდად. ის შექეიფიანებული ტერ-ასატუროვის შენობაში მუშების ყავახანაში შესულიყო. რაც თან ფული ჰქონოდა, ისიც წააგო და ქამარიც ზედ მიაყოლებინა. ბევრსა ჰხვეწნოდა, როცა გამოჰფხიზლებოდა, მაგრამ ქამარი მაინც არ დაუბრუნებინათ, მხოლოდ პოლიციის დახმარებით-ღა გამოიტანა საწყალმა მზარეულმა თავისი ნივთი.

მრავლად მრავალია ამისთანა შემთხვევა მოსამსახურეთა ცხოვრებაში, მაგრამ დღევანდლამდის არავინ აქცევს ყურადღებას ჩვენს გაჭირვებას. საჭირო და აუცილებელია ჩვენც მოგვექცეს ყურადღება და შესდგეს ჩვენთვის ისეთი საზოგადოება, რომელსაც აზრად უნდა ჰქონდეს გააუმჯობესოს ზნეობრივად ჩვენი ცხოვრება, ამ საზოგადოებამ თვალ-ყური უნდა ადევნოს მოსამსახურეებს და უფრო კეთილშობილური გასართობი აღმოუჩინოს, რომ ყავახანებს როგორმე აარიდოს.

იყო კიდეც დაწყებული ამ გვარი საქმე, მაგრამ მთავრობამ როგორღაც შეუსაბამოდ სცნო და სათავეშივე მოსპო. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ზოგიერთებმა გაავრცელეს ხმა, წლიური გადასახადი უნდა დაედოს ყველასო. როგორც მოგახსენებთ, მოსამსახურეთა შორის აზნაურნიც ბევრნი არიან, რომელთაც არაფრად ეპაშნიკათ ეს ამბავი. ოც-და-ერთი თუმანი ფული შეიკრიბა, რომ ბაირაღი შეეძინათ და თავისი ამქარი ჰყოლოდათ, მაგრამ აქაც მუქთა მჭამელებმა გაჰკრეს კლანჭი და ბაირაღის შეძენის, ნაცვლად ოც-და-ერთი თუმანი ფული იარმუკის ღვინის დუქნებში ჩააქრეს... სასურველია, აღმოჩნდნენ ისეთი გულ-შემატკივარნი, რომ ამ გზა-დაბნეულ ხალხს პატრონობა გაგვიწიონ და ბატონი აკაკის განზრახვა, რომ მოსამსახურეთა კონტორა დაარსდეს, სისრულეში მოიყვანონ.

ვინმე მოსამსახურე

## წერილი კიევიდამ.

კიდევ ქართველთა მონასტრების შესახებ პალესტინაში.

—

როგორც უკვე იციან მკითხველებმა, ამ უკანასკნელ ხანს გახშირეს ჟურნალ-გაზეთებმა ლაპარაკი იმ ყოვლად საყურადღებო საგანზე, როგორიც არის ქართველთა უწინდელი მოღვაწეობა პალესტინაში და ახლანდელი არა სანატრელი მდგომარეობა ქართველთა იქაურ მონასტრებისა. მერე ვინ უფრო ხმა მაღლად ლაპარაკობს ჩვენ მაგიერ ამ საგანზე? „მოსკოვის უწყებანი“?! დღეს ყველა თავისთვის ჰფიქრობს, ზრუნავს და ჩვენ-კი მაინც ვერავინ ვერ დაგვაჯერა ვერას გზით, რომ დროა გავახილოთ ჩვენც თვალი და გამოვიყენოთ ბედნიერი შემთხვევა, რომ ის მაინც დავინახოთ, გავიგოთ და დავიცვათ, რაც ჩვენს მამა-პაპას უანდერძებია ჩვენთვის. გარემოება-კი ისე დატრიალდა, რომ ზემო აღნიშნულს საგანს ან ხელი უნდა მოვკიდოთ და ჩვენი უფლება აღვადგინოთ, ჩვენი კუთვნილება დავიბრუნოთ და ან სამუდამოდ ხელი ავიღოთ. დღეს ის დრო დადგა, რომ დაუდევრობა დაღუპვაა; ეს დრო გვეუბნება: პალესტინაში წინად ქართველებს პირველი ადგილი სჭერიათ, დღეს-კი ქართველების ავლადიდებას ბერძნები დაჰპატრონებიან სრულიად უსამართლოდ და უსაბუთოდ, ქართველების სისუსტისა და დაუდევრობის გამოისო. მაშასადამე თუ ქართველები არ დაეძებენ თავიანთ საქმეს, სხვას ამწყრალებენ თავიანთ ძვირფასს საკუთრებას, რომელსაც თითქმის მილიონი შემოსავალი აქვს, ბოლოს ბუზღუნსა და წუწუნს ნულარ დაიწყებენ, ნულარავის დაემდურებიან, რომ აუარებელი სიმდიდრე ხელიდამ გვეცლებაო.

ასე მსჯელობს დღეს დრო-ჟამიდა, ცოტად თუ ბევრად, სამართლიანი მსჯელობაც არის.

— ამ განზრახვით ხან ვინ გვეჩიჩინება და ხან ვინ, (რამდენად გულწრფელად, ეგ სხვა საქმეა), რომ ხმა ამოვიღოთ და ჩვენს კუთვნილებას მივეპატრონოთ. მაგრამ ჩვენ მაინც ყურებს არ ვიბერტყავთ. იურიდიულის საბუთით ხომ არავისათვის მიგვიყიდია რამ, რომ დაპატრონების ნება აღარ გვქონდეს და რიყეზე დავრჩეთ გარიყული? თუ, კი თვით მთავრობა გვირჩევს და იმედია შეგვეწევა და დახმარებასაც გაგვიწევს ამ საქმეში, ჩვენ რაღაი დაგვიკარგავს იმედი ჩვენი სამკვიდროს ამოგებისა? თუ ძალაზეა საქმე, ჩვენ ვიღამ წაგვართვა ძალა, როდესაც თვით ძლიერი მთავრობა ჰგრძნობს ჩვენს სიმართლესა? გიყვარდა, მამავ, ურემი, დაწექ და დაიძინეო, სწორედ ჩვენი საქმეა! მაგრამ თუ 40 მონასტერი თავის ბიბლიოთეკებითა და, განძით თავის აუარებელ მამულდედულით საქართველოში, სხვებმა წაჰგლიჯეს ბოლოს ბერძნებს, მერე ნულარ ვიწუწუნებთ და, თავში ცემას ნულარ დავიწყებთ: ეს რა მოგვივიდა, ეს რა ძვირფასი დასაკარგი დავკარგეთო!

ცოდვა არ არის განა, სირცხვილი და სიკვდილი არ არის, რომ ხელიდამ გაუშვას პატრონმა ის დიდებული ნაშთი მამაპაპათა მოღვაწეობისა, ის დიდი სიმდიდრე მათის ღვთისმოსავობისა და აღგზნებულის ღვთის სიყვარულისა, რომელიც სრულდა და სავსებით არის აღწერილი პროფესორის ა. ა. ცაგარლის თხზულებაში: Памятники грузинской сторины на Синаѣ и въ Палестинѣ იგივე წმ. ადგილები ცხოვლად არის აღწერილი ტიმოთესა და იონას მოგზაურობაში აგერ რამდენი ხანია, მაგრამ ჩვენ მაინც ყურს არ ვიბერტყავთ დღეს აქამომდე. მრავალნი მეფენი ქრისტიანენი, — ვიტყვით ტიმოთე გაბაშვილის სიტყვებით, — ღვწიან და ყოვლისა სოფლისა ქრისტიანობა, რათამცა ადგილი იქონიეს აქა არამედ იგი სრულიად ქართველთა არს და მათი კანდელი და მოხსენება არ არს მათ შინა... რასათვის ერთი ვინმე მათი არა იყოფების აქ? მათის ჯვარის მამის შემოსავლითა და ხარჯითა მოვიდეს... რათა მონასტერივე დაიპყრან... ანუ რასათვის დაუგდიათ ესოდენნი ჰირნახულნი?.. კვალად ამასაცა გაცვიფრებულ ვარ, რასათვის უმეცარ იქმნენ საქართველოსაგანნი? ერთი ვინმე რასათვის არ მოიწია აქა? აქაური ამბავი შეეტყო, ანუ წიგნთაშინ აღმოეკითხათ ესე ამბავი და ქართველთათვის ეუწყებინათ! არცა ვის სმენიეს იერუსალიმი ქართველთათვის არა რის? არცა მე ვუწყოდი აქაური ესე ვითარიმე საქმე?! ჰოიმე! რა დიდის უგუნურებით არის დამთვრალი ნათესავი ჩვენი“! („მოხილვა წმიდათა და სხვათა ადგილთა“, ტიმოთესი. ტფილისი, 1852 წ., გვ. 162—164).

თუ მართალა ისე ვართ დღესაც დამთვრალნი, რომ, მაგალითად, ჩვენს სამღვდელოებას ფიქრადაც არ მოსდის ამ საქმისათვის შუამავლობა უწმიდესის სინოდის წინაშე, რათა და გვეხმაროს ამ საქმეში, სწორედ წამხდარა ჩვენი საქმე და ის არის. სანუგეშოდ მაშ ერთს სასიამოვნო ამბავს მაინც ვათხოვოთ ყური და გონება.

შარშან, 1893 წელს, კიევის სასულიერო აკადემია დაასრულა ერთმა რუსის სტუდენტმა, რომელმაც დისსერტაცია დასწერა ამ სახელწოდებით: „Палестинское монашество въ V вѣкѣ“, (პალესტინის ბერობა მე-V საუკუნეში). ეს თხზულება ძალიან მოიწონეს ყველა რეცენზენტებმა მათს რეცენზიებს, რომელიც დაბეჭდილი იყო აკადემიის ჟურნალში („Труды Кіев. Дух. Ак.“), მიაქცია ყურადღება ამ უკანასკნელს ხანებში პალესტინის მართმადიდებელ-საზოგადოებამ და მიმართა თხზულების ავტორს, თქვენი თხზულება დაუთმე ჩვენს „საზოგადოებას“ პალესტინის „Сборникъ“-ში დასაბეჭდადო. სტუდენტი თანხმა გახდა და შეუთვალა უფრო ვრცლად შევიმუშავებ ჩემს თხზულებასო ე. ი. მეხუთე საუკუნის მაგიერ ავიღებ საგნად IV—VIII საუკუნოებს და ამ პროგრამმაზედ დაწერილს თხზულებას ერთის წლის განმავლობაში წარმოუდგენ «საზოგადოებასაო“. ახალგაზდა მეცნიერს სხვ-და-სხვა წყაროებიდამ აღმოეკითხა, რომ პალესტინაში წინად ქართველობა იყო გაძლიერებულიო. რადგან იგი ჩვენი კარგი ნაცნობი და ამხანაგია ამისათვის მოგვმართა ჩვენ ასეთის თხოვნით: განზრახვა მაქვს ჩემს დისსერტაციაში ძალიან დიდი ადგილი დავუთმო ქართველების მოღვაწეობას პალესტინაში თუ ქართულს, ან სხვა წყაროებში რაიმე მასალა გეგულებოდეთ ამ საგნის შესახებ, მოგვაწოდეთ ჩემს გამორკვევაში ჩასართობადაო.

ვგონებ ყველამ უწყის ჩვენში, რომ საუკეთესო და უბრწყინვალესი ხანა ქართველების მოღვაწეობისა პალესტინაში არის IV—VIII საუკუნოები. ამისათვის ყოველი ქართველი უნდა ცდილობდეს ისარგებლოს ამ მშვენიერის და ბედნიერის შემთხვევით შეკრიბოს, თუ რამ მასალა ეგულება, უჩვენოს მისი წყაროები და ან ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნოს და ან ხელთ ნაწერებათ ზემოხსენებულს სტუდენტს მიაწოდოს შესამუშავებლად. ჩვენ თუ რამ მოგვეპოვებოდა ყველა მასალების ამოკრება და გაგზავნა აღვუთქვით, მაგრამ კიევში ბევრს ვერას იშოვის კაცი საქართველოს შესახებ. თუ რამ გაგვაჩნია აქ, ყველა დაბეჭდილი თხზულებაა, მაგ. ბროსსე, სენმარტენი, ქართლის ცხოვრება, იონასი და ტიმოთეს მოგზაურობა, იოსელიანისა და ცაგარლის ნაწერები, აგრეთვე თ. ჟორდანიასი და დ. ბაქრაძის თხზულებანი და სხ. მაგრამ ეს მასალა არა კმარა. საჭირო ის მასალებიც შეიკრიბოს, რომელიც ჩვენს არხივებში მოიპოვება. ამიტომ დიდად სასარგებლო საქმე იქნება, რომ ჩვენი არქეოლოგები და ისტორიკოსები არ დაიზარებდნენ იმ მასალის დაბეჭდვას ან გაგზავნას, რომელიც ეგულებათ სადმე, მით უმეტეს რომ ზემონახსენებულის ახალგაზდა მკვლევარის თხზულება, ვიცით, დიდს ყურადღებას მიიქცევს რუსეთში და ნამეტურ იმიტომ სასურველია ეს საქმე, რომ მისი თხზულება დაბეჭდილი იქნება ისეთს კრებულში, რომელიც ყველგან ცნობილია. შეიძლება ამ ერთმა გამოკვლევამ ლიტერატურაში დიდი კამათობაც გამოიწვიოს, სხვა გამოკვლევაც დააწერინოს ვისმეს, რადგან მთელს ევროპაში ამ საგანზედ ხეირიანი, გუნებიერათ გამოკვლევა არ არსებობს. აქ ყოველს ჩვენ მიერ მიწოდებულს ცნობას დიდი მნიშვნელობა ექნება.

დასასრულ ერთი საყურადღებო შენიშვნაც. საუკეთესო წყაროებსა და საბუთებში სიტყვა iberi ძალიან იშვიათად შეხვდება კაცს. ამის გამო

უმეტესი ნაწილი მკვლევართა იმ აზრს დაასკვნის, რომ ვითომ ქართველებს (იბერებს) პალესტინაში ძალიან მცირე ადგილი სჭერიათო. მაგრამ მეორეს მხრით, თითქმის ყველა ძველ წყაროებში ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ ვიღაც Bessés-ზე.

როგორც ეს წყაროები ამტკიცებს ნათლად, ამ ხალხს—ბესსებს (Bessés) პალესტინაში ყველაზე დიდი, ფართო ადგილი სჭერიათ და ყველა ერზედ მეტი კვალი დაუჩნევიათ პალესტინის კულტურაში. მაგრამ ვინ არიან ეს ბესსები—Bessés? ვერც ჩვენ და ვერც ზემო დასახელებულმა მკვლევარმა პირველად ამისი ვერა გავიგეთ რა. მაგრამ, რადგან იმან დაგვავალა ამ საგნის შესახებაც რაიმე ცნობანი შეგვეკრიბნა, ჩვენც გადავჩხრიკეთ უმთავრესი ფრანგული, რუსული და ქართული წყაროები რომელიც-კი ჩვენს განკარგულებაში იყო, და, ბოლოს, იოსელიანის თხზულებაში „Описаніе древностей Тифлиса“ მე-153 გვერდზედ შევხვდით ამ სიტყვის ახსნას. იოსელიანი ამბობს, რომ Bessés არისო დამახინჯებული iberes—ქართველები—ივერიელები. ამ ნაირად, თუ ამ ახსნას დავადგებით და, სადაც ბესსებზეა ლაპარაკი, ყველგან ქართველებს, ვიგულისხმებთ, მაშინ გვექნება ხელში შეურყეველი საბუთი იმისი, რომ ქართველების ღვაწლი პალესტინაში ყოვლად დიდი და შესამჩნევი ყოფილა. ზემოხსენებული ახალგაზდა მკვლევარიც შეიტანს თავის თხზულებაში ყველა იმ მასალას, რაც შეკრიბა ბესსებზე და აქამდის-კი ვერ ბედავდა იმათზე ლაპარაკს, რადგან არ იცოდა, ვინ იყვნენ Bessés-ბი.

მაგრამ ასეთი ახსნა ამ სიტყვისა (Bessés) მართალია თუ არა? არავისა აქვს რაიმე საბუთი, რომელიც ასეთს განმარტებას ეწინააღმდეგებოდეს? ან ისეთი საბუთები არსად ეგულება ვისმეს, რომელმაც ასეთი ახსნა იოსელიანისა კიდევ უფრო დაამყაროს? სასურველია გაზეთებში გამოქვეყნდეს ასეთი ახალი საბუთები.

მასალების შემკრებს და მათის გაგზავნის მსურველს-კი შეუძლიან თავისი შეკრებილი ცნობანი ამ ადრესით გაჰგზავნოს:

г. Умань, Кіевской губерніи, преподавателю дух. училища, Петру Олторжевскому.

მ. კელ—ძე

## გასართობი

—

ერთმა გლეხმა თავის ბატონს ერთი შემწვარი მსუქანი ბატი მიართვა.

ბატონმა უბრძანა გლეხსა, შენვე გაგვინაწილე ისე, რომ არც ერთს ჩვენგანს გული არ დაგვაკლდესო. ბატონს ჰყავდა ცოლი, ორი ვაჟი და ორიც ქალი, ასე რომ სულ ექვსნი იყვნენ ოჯახში.

გლეხმა ბატს თავი მოსჭრა, მიართო ბატონს და უთხრა:

— თქვენ ამ სახლში ყველაზე თავი ხართ, და მიირთვით თავიო.

მოსჭრა კურტუმი, მიართო ქალბატონს და უთხრა:

— თქვენ შინ ჯდომა, ოჯახის მოვლა მოგიხდებათ და ეს კურტუმიც თქვენაო.

მოსჭრა ფეხები, მისცა ვაჟებს და უთხრა:

— თქვენ თითოს თითო ფეხი, რომ თქვენც თქვენის მამის გზას მისდიოთ.

ქალებს მისცა თითო ფრთა და უთხრა;

— ეს თითო ფრთაც თქვენ, რადგან დედ-მამასთან დიდ-ხანს არ დარჩებით, გაიზდებით და გაფრინდებითო.

მხოლოდ მე, საბრალო გლეხს, დამრჩება გულისა და ბეჭის ძვლების გამოხრაო.

იამა ბატონს გლეხის მოხერხება, დაასაჩუქრა და გაისტუმრა.

— ერთმა სხვა გლეხმა შეიტყო ესა, ხუთი შემწვარი ბატი მიუტანა ძღვნად ბატონს.

— რა გინდა, ძმაო ,ჰკითხა ბატონმა?

— „ხუთი შემწვარი ბატი მოგართვი, ბატონო, ძღვნად“.

— მადლობელი ვარ, უპასუხა ბატონმა, მხოლოდ შენვე გაგვინაწილე ისე, რომ არც ერთს გული არ დაგვაკლოვო.

გლეხი ღრმა ფიქრში შევიდა და ვერ შესძლო განაწილება. ბატონმა იხმო პირველი გლეხი, რომ ისინიც გაენაწილებინა.

იმან აიღო ერთი ბატი ბატონს და იმის ცოლს მისცა და უთხრა:

— თქვენ ახლა ბატონო სამნი გახდით.

ერთიც ორ ვაჟს მისცა და ერთიც ორ ქალს და უთხრა;

— ახლა თქვენც სამ-სამნი გახდით.

დანარჩენი ორი ბატიც თითონ აიღო და სთქვა;

— ჰა, ჩვენც სამნი ვართ ახლაო.

## გამოსადეგი ცნობა

—

ინგლისის ექიმი შოფილდი ძალიან აქებს „რძის ბულიონს“, ე. ი. ხორცის ბულიონს, წყლის მაგივრად რძით გაკეთებულს, როგორც საუკეთესო საკვებს საშვალებას. ამისთვის აიღებენ გირვანქის მეოთხედს გარგს ხორცს, წვრილ ნაწილებად დაჰკეპავენ, რომლისაც რამდენიმე წამის განმავლობაში ცოტა მარილ წყალში ალბობენ. მერმე ჩაუშვებენ რძეში (რომელიც უნდა აიღოს მეტოფის მეოთხედი) და ჰხარშავენ, როგორც ჩვეულებრივს ბულიონს. ასრე გაკეთებულს ბულიონს გასწურავენ და ცხელ-ცხელს მიუტანენ ავადმყოფს.

ხსენებულ ინგლისელ ექიმის აზრით „რძის ბულიონი“ მშვენიერის გემოსი ყოფილა. შეიძლება ძროხის ხორცის მაგივრად ხბოს ხორცი და ქათმისაც იხმარონ.

## დეპეშა

30 აპრილი

**პეტერბურგი.** ბირჟა: ტფილისისა და ქუთაისის გირავნობის ფურცლები გაიყიდა $6^0/_0$—102 მან., $5^0/_0$—101 მან; ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებში იძლევიან 101 მან.

პეტერბურგის ბირჟა, 29 აპრილი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{15}$ | $7,_{43}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $148^3/_4$ | $149^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 245 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 224 | — ,, | — ,, |
| $4^0/_0$ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | $192^1/_2$ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| $6^0/_0$ . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$ . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის $6^0/_0$. | — ,, | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## ხვედურეთის აბანო

(ქარელის რკინის გზის ახლო)

ცნობილია როგორც უებარი სამკურნალო მუწუკით და ქარებით ავადმყოფთათვის. ბანაობა დაიწყობა პირველ მაისიდამ. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქარელში თ-დს. კონსტანტინე ნოდარის ძეს ციციშვილს.

(3—1174—1)

**ყვავილის აცრელი ექიმი პროზოროვსკი** სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5-მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად.

(12—3)

## ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა ‡ ამხ. სტამბ. ს:

ფასი ერთი შაური

იყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „Иверія“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/$საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

ახალი ამბავი!

## ლამპრის პატრუქები

გაქღინთულია ახლად მოგონილის წამლით და არა ჩვეულებრივი წმინდა და ბრწყინვალე ალი აქვს, სრულიად არა ჰბოლავს და არც სუნს აყენებს, ამასთან ნავთიც ძლიერ ნაკლებად იწვის.

ეს პატრუქები ქალაქის საბჭოს დარბაზში გამოსცადეს, სადაც თვეზედ მეტია ჰხმარობენ და ამ ერთის თვის განმავალობაში ხმარებამ აშკარად დაანახვა ყველას მისი სიკეთე.

26 აპრილიდგან ამ პატრუქების სყიდვა შეიძლება შემდეგ აფთიაქის მაღაზიაებში:

პაპოვისა—მიხაილოვის ხიდზედ „გრანდ-ოტელის ქვეშ.

ა. ს. არისტაკოვისა—ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ და ვერაზედ, მაკაროვის სახლში.

კონსტანტინე გართანოვისა—კუთხე მიხეილისა და ალექსის ქუჩებსა № 51, 1.

ა. ზ. როსტომოვისა—პუშკინის ქუჩაზედ, ერევნის მოედნის პირდაპირ.

დ. მ. მირზოევისა—შუაბაზარში. მანთაშოვის სახლში.

ე. ფ. ჯანაღოვისა—რიყეზედ, მადერის სახლში და

ჰაჯი-ბაბა-ალიევისა—თათრის მოედანზედ, ნარიმანოვის სახლში.

ფასი აღნიშნულია თითონ პატრუქებზედ დაბეჭდილის ასოებით. პატრუქების ყიდვა შეიძლება, აგრეთვე თვით ამ პატრუქების მომგონთან, რიყის ქუჩაზედ, სახლი № 41, სადგომი მუჰამედ ხაჯიევისა.

(15—3)



Въ Б. Жуковскій С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსასი) ფუთს.

Ревель А. Брокгаузенъ

მსურველს პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები საჩქაროდ გაეგზავნება.


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Апрѣля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე